საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-11/67

ქ. ბათუმი 05- ოქტომბერი, 2017 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე, 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 09 სექტემბრის N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ბსუ-ს შინაგანაწესის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს საერთო საცხოვრებლის ფართით სარგებლობისათვის დადგინდეს ყოველთვიური გადასახდელი შემდეგი ოდენობით:

ა) ბსუ-ს სტუდენტისათვის/მსმენელისათვის - 15 ლარი;

ბ) ბსუ-ში დასაქმებულისათვის - 50 ლარი;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე ბსუ-ს სტუდენტებისათვის - 60 ლარი;

დ) სხვა პირთათვის/ბსუ-ს სტუმრებისათვის - 60 ლარი (თუკი მემორანდუმი, ხელშეკრულება და სხვა სამართლებრივი აქტი არ ითვალისწინებს უსასყიდლო სარგებლობას).

2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ,,შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის ფართით სარგებლობისათვის ყოველთვიური გადასახდელის დაწესების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2009 წლის 08 სექტემბრის N159 ბრძანება.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ბსუ-ს საერთო საცხოვრებლის მენეჯერს და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს.

4. ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს ფაკულტეტებს, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და პერსონალს.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს კანცელარიასთან და ფაკულტეტებზე არსებულ საინფორმაციო დაფებზე და ვებგვერდზე (ველში ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“ და ,,სწავლა“).

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ჯემალ ანანიძე**